პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 აგვისტო ხუთშაბათი 1971 წელი 2 ფასი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან | № 189 (15099)

ᲮᲣᲗᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ — ᲝᲗᲮ ᲓᲦᲔᲨᲘ

თაოსნობას მხარი მიუცეს

ᲛᲘᲪᲗᲣᲠᲐ. (ᲘᲮᲔ. ᲙᲝᲠᲠ.). ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲫᲦᲚᲔᲑᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲔᲔᲑᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ — ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲡ ᲝᲗᲮ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ. ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲫᲦᲚᲔᲑᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ. ᲛᲔᲠᲒᲕᲘᲜᲘᲫᲔᲡ ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲪᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲫᲦᲚᲔᲑᲘ Ხ. ᲯᲐᲯᲐᲜᲘᲫᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲐᲠᲑᲐ ᲮᲝᲪᲔᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲠᲙᲘᲗᲨᲘ. ᲔᲒᲔ 25 ᲬᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲯᲘᲮᲘ. ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲫᲦᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲡ ᲛᲔ ᲓᲦᲔᲑᲨᲘ. Ს. ᲯᲐᲠᲩᲘᲫᲔ ᲛᲘᲠᲘᲗᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲘᲪᲔᲛᲡ ᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲣᲚᲔᲑᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ 8 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲡᲘᲠᲬᲐᲕᲔᲡ ᲨᲝᲛᲐᲕᲔᲡ. ᲓᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲐᲛᲘᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲫᲦᲚᲔᲑᲘ Ო. ᲬᲘᲬᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ Მ. ᲛᲘᲭᲐᲣᲢᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲭᲘᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲣᲛᲐᲕᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ 8 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲡᲘᲠᲬᲐᲕᲔᲡ ᲨᲝᲛᲐᲕᲔᲡ. ᲓᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲒᲘᲚᲝᲗᲠᲘᲐᲜᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე სწავლობენ პარტიის ეკონომიურ პოლიტიკას

ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილებიდან

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მასშტაბების ზრდა მოითხოვს კადრების ეკონომიური განათლების დონის შემდგომ ამაღლებას. ამიტომაც დღეს კადრების ეკონომიური სწავლება პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი უბანი გახდა.

პარტიის XXIV ყრილობამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ეკონომიური თეორიის შესწავლის, მართვის შემდგომი სრულყოფის საჭიროებას.

ყრილობის დამთავრებიდან განვლილ პერიოდში ქუთაისის პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს ერთგვარი გამოცდილება ეკონომიური სწავლებისა და მართვის შემდგომი სრულყოფისათვის. გადადგმულია პირველი ნაბიჯები, რის შესახებაც მოთხრობილია ამ გვერდში.

ქუთაისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პოლიტიკური განათლების კაბინეტში მუდამ ბევრი ხალხია. აქ ხშირად ნახავთ საამქროებში შექმნილი ეკონომიური სკოლების პროპაგანდისტებსა და მსმენელებს. ს ურ ა თ ზ ე: შასის საამქროს სამთვიანი ეკონომიური სკოლის მსმენელებს კონსულტაციას უწევს ქარხნის საგეგმო განყოფილების უფროსი, ეკონომისტი გრ. ახათიანი.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

მთავარი თემა

ო. გოგოლიძე,
საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ქუთაისში ამას წინათ გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომლის შესახებ ქვემოთ ვიტყვნება საუბარი, სიტყვით გამოვიდა ლითოფონის ქარხნის დირექტორი ა. ოყრუშიძე.

მას მთელ ქალაქში წარმოების გამოცდილი მუშაკის, უნარიანი ორგანიზატორისა და მოწინავე პროპაგანდისტის სახელი აქვს. როგორც ხელმძღვანელს, კარგად ესმის, რომ ყოველი გეგმის წარმატებით შესრულების საიმედო გზაა კოლექტივში ადამიანთა დარწმუნება და აღზრდა, მათთან გულისხმიერი ურთიერთობა.

სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების ღრმა გაგებით, საქმის ცოდნით ილაპარაკა მან კონფერენციაზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანმიმდევრული დაჩქარების გზებზე, იმაზე, რომ ახლა მთავარია წარმოების ეფექტიანობის ამაღლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მეელი რეზერვების სრულად გამოყენების საფუძველზე.

ხოლო როგორ არის საქმე ამ მხრივ თვით ლითოფონის ქარხანაში? დირექტორი დაწვრილებით შეჩერდა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის მოფიქრებულსა და უკვე შემუშავებულ ღონისძიებებზე, რომლებიც ახლა ქარხნის პარტიული კომიტეტისა და დირექციის ერთობლივი მეცადინეობით ხორციელდება.

ქარხნის პარტიული კომიტეტის სადღეისო სამხრეთი ის არის, რომ კოლექტივის თვითეულ წევრს, კომუნისტსაც და უპარტიოსაც, ნათლად ესმოდეს პარტიის ეკონომიური პოლიტიკა, რომლის უმაღლესი მიზანია ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. სწორედ ამიტომ სწავლობდა გასულ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში გაერთიანებულ მსმენელთა ნახევარზე მეტი ეკონომიკის საკითხებს, სწორედ ამიტომ შეიქმნა ამ ზაფხულში აქ ეკონომიური ცოდნის სკოლები, სწორედ ამიტომ აქ სისტემატურად ეწყობა ეკონომიური და თეორიული კონფერენციები, ეკონომიური კითხვის საღამოები.

თავიანი სიტყვის ბოლოს ა. ოყრუშიძემ ისიც თქვა, რომ ქარხანს ახლახან კომუნისტური შრომის საწარმოს სატიტული სახელი მიეკუთვნა, ხოლო მისმა კოლექტივმა, ეს უკვე მეშვიდედ, ზეიმზედ შეინარჩუნა სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ახლა აქ მიღებულია ცნობა, რომ საკავშირო დონეზე მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგებით ქარხანამ უკვე მეორედ შეინარჩუნა.

დიან, ქუთაისის ლითოფონის ქარხანა ქიმიური მრეწველობის მოწინავე საწარმოა მთელ ჩვენს ქვეყანაში.

ახლო წარსულში კი, სულ ამ ოთხიოდე წლის წინათ, ოცივე ქარხანა ერთ ადგილს ტკეპნიდა, სამარცხვინოდ ჩამორჩენოდა. მოუგვარებელი იყო ადამიანთა შრომის ორგანიზაცია, დიდი იყო დენადობა, მუშებისა და მოწყობილობის მოცდენა. ყველაფერ ამას თან სდევდა შრომის ნაყოფიერების შემცირება, სახელმწიფო გეგმების ჩაშლა და ზარალი. ქარხანას, მის ხელმძღვანელობას აკრიტიკებდნენ ყველგან — პარტიის საქალაქო კომიტეტშიც და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზეც, პრესაშიც.

მას შემდეგ კი, რაც ქარხნის სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობა გადახალისდა და მის კოლექტივს სათავეში ჩაუდგნენ უნარიანი მუშაკები, მალე გამონახეს ჩამორჩენიდან თავის დაღწევის გზები. ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი ა.კ. ერგეშელიძე) პოლიტიკური მუშაობის მრავალი ფორმა გამოიყენა ადამიანთა შეგნებულობის ზრდისათვის, მოვალეობის პატიოსნად და უმწიკლო შესრულების სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის. აქ არც ის გამორჩენიათ მხედველობიდან, რომ ნორმების შეუსრულებლობა მომუშავეთა დაბალი კვალიფიკაციით აიხსნებოდა, გაუმჯობესდა ტექნიკური სწავლება, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა. თუ 1967 წელს გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებდა მომუშავეთა 20 პროცენტი, 1968 წლიდან მოკიბებული ნორმებს ასრულებს უკლებლივ ყველა მუშა. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ შარშან და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მოამზადეს საწარმოში ახლად მოსული 200-ზე მეტი მუშა, ხოლო კვალიფიკაცია აუმაღლეს 300-ზე მეტ მუშასა და ინჟინერ-ტექნიკოსს.

ძნელი იყო ზარალიანი საწარმოს მომზადება ახალ სამეურნეო რეფორმაზე გადასვლისათვის, მაგრამ აქ არა მარტო დასახეს, კიდევაც განახორციელეს კონკრეტული ღონისძიებანი წარმოებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ქარხანა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლით, ყველა ასორტიმენტის მიხედვით გადაჭარბებით ასრულებს დავალებას. შეიქმნა წარმოების განვითარების, მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის საკმაოდ სოლიდური ფონდი, რამაც მარტო გასულ წელს 638 ათას მანეთს მიაღწია.

ყველა ეს წარმატება, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სამეურნეო, ორგანიზაციური და იდეოლოგიური მუშაობის სწორად შეხამების, მათი ურთიერთკავშირის შედეგია.

ქ. ქუთაისის პირველადი პარტიული ორგანიზაციები ითვალისწინებენ, რომ სპირალ თეორია უშრო მტკიცედ დაუკავშირონ პრაქტიკას, ხოლო ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტა — მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანებს.

ეკონომიური პოლიტიკის დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები პროპაგანდის მთავარი და სადღეისო თემაა.

სწორედ პარტიის ეკონომიური პოლიტიკის პროპაგანდის ამოცანებს მიეძღვნა „ეკონომიჩესკაია გაზეტას", საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლისა და პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მიერ მოწყობილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „სკკპ XXIV ყრილობა და პარტიის ეკონომიური პოლიტიკის პროპაგანდის ამოცანები".

ძირითად მოხსენებაში, რომელთაც ამ სტრიქონების ავტორი გამოვიდა, ფართოდ იყო ხაზგასმული, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა, მართვის შემდგომი სრულყოფის საჭიროებას.

ეკონომიკურ-ეკონომიური ფაქტორის მიხედვით ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა. ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა. ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა.

მსოფლიო დღეს

მზადება ყრილოგისათვის

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს სესია

დელი, 18 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთის კომუნისტური პარტია ემზადება თავისი IX ყრილობისათვის, რომელიც 3-დან 10 ოქტომბრამდე გაიმართება კოჩინში (ცენტრალის შტატი).

ამჟამად ინდოეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები ამზადებენ ძირითად პარტიულ დოკუმენტებს, რომლებიც ყრილობის მონაწილეებს წარედგინება. დელში მიმდინარე ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს სესიამ მოიწონა მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისა და ინდოეთის კომუნისტური პარტიის ამოცანების შესახებ", რომელიც მოამზადა პარტიის ცენტრალური სამდივნოს წევრმა ს. გ. სარდესამ.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ, შეძლო საკადრისი პასუხი გაეცა როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე რევიზიონისტებისათვის.

საერთაშორისო მდგომარეობა სულ უფრო ხელსაყრელი ხდება დემოკრატიული ძალებისათვის, მათ შორის ინდოეთის დემოკრატიული ძალებისათვის.

მოხსენებაში დიდადაა შეფასებული ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ამას წინათ დადებული მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

### ბაკუ	იასს ლონდონი

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფოლკნერი გამოიძახეს ლონდონში, სადაც ეწყობა საგანგებო თათბირი ოლსტერის მდგომარეობის განსახილველად.

დელი

მშვიდობის ხელშეკრულება

18 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება არა მარტო ისტორიული მოვლენაა ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების გზაზე, არამედ აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და პროგრესის ბურჯია, ნათქვამია ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს რეზოლუციაში.

ეს ხელშეკრულება, ნათქვამია რეზოლუციაში, აზიის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საქმის მძლავრი მხარდაჭერა იქნება.

„საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობისა და მეგობრობის მჭიდრო ურთიერთობას, — ხაზგასმით აღნიშნავს ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭო, — საარსებოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიური და სოციალური პროგრესის გზით ინდოეთის შემდგომი წინსვლისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად".

კანო ისტორიული წლისთავი

18 აგვისტო. (საკდესი). ხვალ ხრულდება ვიეტნამის აგვისტოს რევოლუციის 26 წლისთავი. ამ რევოლუციის გამარჯვების შედეგად 1945 წლის 2 სექტემბერს გამოცხადეს, რომ შეიქმნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ყოფილ კოლონიურ და ნახევრადფეოდალურ ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. ვიეტნამელ კომუნისტთა ხელმძღვანელობით შრომელი ხალხის თავდადებული ბრძოლა რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინდა. აგვისტოს რევოლუციის წარმატების ხელი შეუწყო საბჭოთა არმიის მიერ მსოფლიო ფაშიზმის ძალების გამანადგურებელმა დამარცხებამ.

მამაცმა ვიეტნამელმა ხალხმა განვლო ბრძოლისა და გამარჯვებების ისტორიული გზა. იცავდა რა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, მან დაამარცხა ფრანგი კოლონიზატორები.

აღმშენებლობითი შრომით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხმა დიდმნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა სოციალისტურ მშენებლობაში. მტკიცედ შეკავშირებული ვიეტნამელი ხალხი ნამდვილ გმირობას იჩენდა და კვლავაც იჩენს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხმა და შეიარაღებულმა ძალებმა ღირსეულად გაუძლეს ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო ომს, მტკიცედ აშენებენ სოციალიზმს და ფხიზლად იცავენ ვიეტნამის რევოლუციის სოციალისტურ მონაპოვრებს.

აღნიშნავს რა აგვისტოს რევოლუციის წლისთავს, გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც ასრულებს პრეზიდენტ ხო ში მინის ანდერძს, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განვითაროს მოპოვებული გამარჯვებანი თავისი ძირეული ეროვნული უფლებების დასაცავად. ვიეტნამელი ხალხი დიდი მადლობით აღნიშნავს, რომ ყველა მისი გამარჯვება მშვიდობიანად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირსა, სხვა სოციალისტურ ქვეყნებისა და მთელი მოწინავე კაცობრიობის ძმურ და ყოველმხრივ მხარდაჭერასა და დახმარებასთან.

ლონდონი

კატრიოტები უტევენ

18 აგვისტო. (საკდესი). ხაიგონის მარიონეტული ძალები იძულებული იყვნენ კუანგჩის პროვინციაში დატოვებინათ კიდევ ერთი დიდნაშენეული ნაყრდენი პუნქტი.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილები განდევნეს ბეთს მაღლობიდან, რომელიც 14 კილომეტრზე მდებარეობს დემილიტარიზებული ზონის სამხრეთით.

როგორც რეიტერის ხაბგენტო იუწყება, მარიონეტული არმიის რჩეულმა ნაწილებმა ხელჩართულ ბრძოლაში დიდი დანაკარგი განიცადეს. განადგურებული დაჯგუფების ნაშთები ამერიკის ვერტმფრინავებით გახიზნეს პატრიოტთა განუწყვეტელი ცეცხლის პირობებში.

განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანყოფილებმა შეუტიეს აგრეთვე მოწინააღმდეგის პოზიციებს ფუღერის ბაზის რაიონში. საიგონის ჯარებმა დიდი ზარალით უკან დაიხიეს.

ნიუ-იორკი

ჩ. ელსბერგი ბრალს დებს

18 აგვისტო. (საკდესი). დანიელ ელსბერგმა, რომელსაც ბრალად ედება პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტების გადაცემა ამერიკის გაზეთებისათვის, სახალმართლოს განუცხადა, რომ დამნაშავედ არ ცნობს თავს არც ერთ წაყენებულ პუნქტში.

გასამართლება ზე, რომელიც დაიწყო ლოს-ანჯელესში, ელსბერგმა თქვა, რომ შეეცდება აქციოს „პენტაგონის დოკუმენტების" თაოსნი უდანაშაულობის ერთ-ერთ ნივთიერ საბუთად.

ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის მიერ „პენტაგონის დოკუმენტების" პრესისათვის გადაცემის მიზეზი იყო თვით მათი შინაარსი, რომელიც აშკარად ცხადყოფდა „ოფიციალურ პირთა უდიდეს დანაშაულს".

ბონი ამერიკელ ჯარისკაცთა თარეში

18 აგვისტო. (საკდესი). არეულობა ბავარიის ქალაქ გამპერგში. მათი მცხოვრებნი ისევ და ისევ ხდებიან იქ დაბინავებული ამერიკის არმიის ნაშიერების ჯარისკაცთა მხრივ ხულიგნური გამოხდომების მსხვერპლნი.

როგორც პრესა იუწყება, სამი ამერიკელი ჯარისკაცი შეეცადა გაეძარცვა ერთ-ერთი რესტორანი. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ხულიგნების მეორე ჯგუფი მინებს ამსხვრევდა ვიტრინებში ვაჭრების შინობასთან.

ერლანგენში ორი ჯარისკაცი თავს დაესხა ტაქსის მოფერს და დაჭრა თავში. ქალაქ ანსბახის ხელისუფალნი, როგორც გაზეთი „დი ტატ" იუწყება, აპირებენ საერთოდ „დახურონ ქალაქის ცენტრალური ნაწილი ამერიკელი ჯარისკაცებისათვის". ამის მიზეზია ის, რომ არ წყდება თარეში და ხულიგნური გამოხდომები.

კაირო ომნოდება ერთიანობისათვის

18 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „ალ-აჰრამ" ბაღდადიდან ხატავს სათაურით „ბაღდადელ ამოცანათა წინაშე", რომელშიც აღნიშნულია, რომ არაბეთმა უნდა გააერთიანოს ძალები ამ სიძნელეთა დასაძლევად, რომლებიც დგას არაბული ქვეყნების წინაშე.

არაბეთის მთელი რიგი ძალების მოქმედებას, წერს სტატიის ავტორი, სურდათ ეს თუ არა, მოაყვა ის შედეგი, რომ ახლა მეტი ყურადღება ეთმობა მეორე ხარისხოვან წინააღმდეგობებს და არა მთავარ წინააღმდეგობებს, რომლებიც არსებობს ერთი მხრივ არაბულ ქვეყნებსა და, მეორე მხრივ, იმპერიალიზმსა და სიონიზმს შორის. ამიტომ, განაგრძობს სტატიის ავტორი, არ უნდა ვიფიქროთ, რომ შეუძლებთ ვაწარმოოთ ძალეგამოსილი ომი — გადამწყვეტი ომი ჩვენი პრესტიჟის დასაცავად — ისეთ პირობებში, როცა ეთიოპეთია ჩვენი არმია, დაქაჩულია ჩვენი ეროვნული ძალები, ჩვენს ხელმძღვანელობაში არ არის ერთიანობა. მთავარ მრძოლაში, ლიტონი სიტყვები და „მოწოდებები კარგ საქმისაკენ" ვერ გაგვიწევენ.

ამისათვის, რომ 1971 წელი გადამწყვეტი წელი გახდეს, უნდა ეხრუნველყოთ გამარჯვების პირობები, როგორიცაა არაბული ქვეყნების პროგრესული და ეროვნული ძალების ერთიანობა. საჭირო არ არის შეფმეტი ემოციურობა, ხიძულვილი და უაზრო ბრძოლა. აუცილებელია, აგრეთვე, განაგრძობს ავტორი, განვამტკიცოთ ჩვენი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა მეგობარ სახელმწიფოებთან და თავი დავანებოთ ო

ДЛЕС ЩВЕНИ РЕСПУБЛИКИС РАЙОНЕБШИ

ყაზბეგი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ა. თომაძე

● ალპინისტი მცენარეები ● მოაბიჯებენ ელექტროგადამცემი ხაზის გოქმბი ● მთის „ქალაქის“ ხარაჩოები ● პიონერული ზაფხული მთაში.

□ ორი ათეული წლის წინათ ხევის პეიზაჟში რუხი ფერი ჭარბობდა. დარიალის პირქუში კლდეები და თრგის რიყიანი ადგილები უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა. ახლა მდგომარეობა თანდათან იცვლება. მთის ხოფლებს ყოველწლიურად ათასობით ახალი ნარგავი ემატება. მწვანდება ფერდობები, სოფლის ქუჩები და კოლმეურნეთა კარმიდამოები.

წლეულს ხაზოგადოება „ბუნების მეგობრის“ თაოსნობით რაიონში უნდა დაერგოთ 40 ათასი ნერგი. მაშინვე ფართოდ გამოეხმაურნენ ამ ინიციატივას და დარგეს 42 ათასი მცენარე, მათ შორის ბაქსანის ფიქვი, სხვადასხვა ხეხილი. მარტო სოფელ ხნოს ფერდობზე დაირგო 15 ათასი წიწვოვანი და ფოთლოვანი მცენარე. მწვანე ნარგავებმა შნო და ლაზათი შემატა მთის სოფელს.

□ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქუმლისცხე-სოკურტყაუს ელექტრიფიცირება. ამ საკოლმეურნეო სოფლებში უახლოეს ხანში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი ელექტროგადამცემი ხაზები.

წლეულს დამთავრდება თრუსოს ხეობის სოფლების ელექტრიფიკაციაც.

□ ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება მთების „ქალაქი“ ყაზბეგი, ფართოვდება მისი ქუჩები, მოედები, მატულობს მწვანე ნარგავები. ახლა აქ ვერ იპოვნით ისეთ უბანს, რომელსაც ხარაჩოები არ ამშვენებდეს. წლეულს საექსპლოატაციოდ გადაეცემა სახელმწიფო ბანკის შენობა, დამთავრდება ყაზბეგ-სამების ხაბაგირო გზის მშენებლობა. მიმდინარეობს ავტომატური სატელეფონო სადგურის სამუშაოები და მალე რაიონულ ცენტრს 500-ნომრიანი სადგური ექნება. წლის ბოლოს ახალმოსახლეობას იზეიმებენ მაგისტრალური გაზსადენის ყაზბეგის სამმართველოს მუშაკები, რომელთათვის შენდება ახალი საცხოვრებელი სახლი.

□ ზაფხული ყველაზე კარგი დროა ეაზხეგის მთებში. ბუფთა ჰაერი, ანკარა წყაროები პიონერებს იზიდავს. სოფლებში ხშირად შეხვდებით თბილისელ და ორჯონიკიძელ პიონერებს. ახინი იხვევნებენ აგრეთვე ხოონის რესპუბლიკურ პიონერთა ბანაკში. ბავშვები ხშირად აწყობენ ექსკურსიებსა და ლაშქრობებს ღირსშესანიშნავ ადგილებში, დადიან ეაზხეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ხშირად არიან ბალაღებზე მყოფ მწყემსებთან.

• • •

სურათზე: ეაზხეგის მთის ხედი.
ფოტო ვ. მორგუნოვისა.
(ხაქდესის ფოტოქრონიკა).

მთაში, მწყემსებთან

ასპინძა. (ხაკ. კორ.). ხოფლების ოდუმალის, ორგორის, ხახუდალის, ხერთვისის, ძველის, თმოგვის კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებს მთაში, ხაზაფხულო ხაძოვრებზე ეხტუმრა აგიტმხატვრული ბრიგადა.

მწყემსებმა მოისმინეს საინტერესო ლექციები და საუბრები, შემდეგ ხარაონო კულტურის ხახლის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა გამართა კონცერტები, რომლის პროგრამა მდიდარი იყო ცეკვებით, სიმღერებით, ხკეტჩებით, მინიატიურებით.

ახმეტა. (ხაკ. კორ.). გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე მთათუშეთის ალპურ ხაძოვრებზე უხდებათ ყოფნა მწყემსებს. დილიდან დაღამებამდე ბეჭით შრომაში ატარებენ დროს, თავს დასტრიალებენ თეთრ ფარებს. ბარიდან გამოჩენილი თვითეული ადამიანი მათთვის ხახურველი სტუმარი, ახალი ამბების მაცნეა.

ამიტომ, ბუნებრივია, დიდი ხიხარულით შეხვდნენ აგიტმხატვრული ბრიგადის წევრთა გამოჩენას თუში მწყემსები. აგიტმხატვრული ბრიგადის შემადგენლობაში შედიოდნენ ახმეტის ხარაიონო, ქვემო ალვანის, მატანის ხასოფლო კულტურის ხახლების, ჩაჩრიალიხა და ფიჩხოვანის ხასოფლო კლუბების მუშაკები.

ბრიგადის წევრები რამდენიმე დღეს დარჩნენ იალაღებზე, მოიარეს სხვადასხვა ფერმისა და ბრიგადის ხადგომები და საინტერესო პროგრამით წარსდგნენ მწყემსთა წინაშე. განსაკუთრებული მოწონება ხვდათ რ. მამუჩარაშვილის, შ. ქოსიშვილის, მ. აფცაურიხა და ვ. ბადურაშვილის მონაწილეობით შესრულებულ ხკეტჩებს „ტელევიზორი“ და „ძალად ექმიმ“, მწყემსებს მოეწონათ აგრეთვე ცეკვები „მთიულური“, „ქართული“, „უაზბეგური“.

ხაჩხერის რაიონის არგვეთის ხასოფლო ხაბჭოში შემავალი ხოფლების ატაკვაზის, მახათაურისა და არგვეთის კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმების მწყემსებს, რომლებიც ამყოფებიან ხაზაფხულო ხაძოვრებზე გაბანდულან მთაში, ეხტუმრნენ არგვეთის ხასოფლო კულტურის ხახლის თანამშრომლები (დირექტორი ვ. ბარბაქაძე) და მწყემსებს გადასცეს ახლადმოლებული მხატვრული ლიტერატურა და ეურნალ-გაზეთები.

მოეწყო არგვეთისა და მახათაურის კოლმეურნეობათა ორი ფერმის მუშაკების შეხვედრა. დასასრულ ნაჩვენები იქნა კინოფილმი „აარსენი“.

ა. ანასაშვილი.

ზუგდიდის ხარაიონო კულტურის ხახლის (დირექტორი ჯ. კორკელია) აგიტმხატვრული ხაესტრადო ბრიგადა, ხიხტემატურად მართავს კონცერტებს რაიონის კოლმეურნეობებსა და ხაბჭოთა მეურნეობებში, ხაწარმოო ბრიგადებსა და ხაკოლმეურნეო ფერმებში. ამას წინათ კულტურის ხახლის ხაესტრადო აგიტმხატვრული ბრიგადა ეხტუმრა ზემო სვანეთის მაღალმთიან ხაძოვრებზე მყოფ ზუგდიდელ მწყემსებს. ხაესტრადო ბრიგადამ შეასრულა ხიმღერები, ხკეტჩები, ფელეტონები, ეუმორისტული სცენები.

ზუგდიდის ხარაიონო კულტურის ხახლის ხაესტრადო ბრიგადის კონცერტებს მწყემსებმა ხალხურებით მიუზმინეს.

ბ. ალუბიბაია.

ონი. ლების კოლმეურნეობის მეცხოველეობა ... ხაძოვრებზე ... კულტურის ხახლის და ბიბლიოთეკის მუშაკები. აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები.

მათ მუცხოველეების მოუტანეს ახალი ეურნალ-გაზეთები, ეხაუბრნენ მათთვის საინტერესო საკითხებზე, გამართეს კონცერტი. ფერმის მუშაკებს განსაკუთრებით მოეწონათ ვ. ლობჟანიძის მიერ ფანდურზე შესრულებული „ხიმღერა თბილისზე“ და „ლეგენდა რუსთაველზე“, რომელიც წაიკითხა ვ. გავაშელმა.

ა. ბერუჩიძე.



ისვენებენ, კაჭდებიან

თბილისის კალინინის რაიონის გაზთლების განყოფილების 14 ხაბავშვო ბალის ალსაზრდელები კარგად ატარებენ ზაფხულს კოჯორში. გამაჯანსაღებელმა მთის ჰაერმ, ალმზრდელებისა და ტექნიკური მუშაკების მზრუნველობამ და ყურადღებამ ბავშვები გაჯანსაღა, გაამაგრა და წონაში მოამატებინა.

ბევრ ძალისა და ენერგიას ახმარენ თავიანთ ალსაზრდელებს ხაბავშვო ბალის გამგე ნ. კეფულაძე, ექიმი ო. უთნიაშვილი, ალმზრდელები მ. ნახუოდაშვილი, ა. ჯიჯიშვილი, ლ. კახრამე, ც. მოწონელიძე და სხვ.

კოჯრის ხაბავშვო ბალში 3-დან 8 წლამდე ასაკის 150 ბავშვი ისვენებს. ბავშვები ყოველდღე აკეთებენ დილის ვარჯიშს, ილებენ ჰაერის აბაზანებს, წყლის პროცედურებს, ხეირნობენ, ტყეში დადიან.

კარგი პირობები, საინტერესო თამაშობანი, სიმღერები და ცეკვები, ძალიან მოსწონთ პატარებს. დედები და მამები კმაყოფილი არიან, რომ მათს ბავშვებს კეთილი და ხალმედი ადამიანები უვლიან.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ხაბავშვო ბალის ალსაზრდელები; ქვემოთ საინტერესო თამაშობანი მოსწონთ ბავშვებს.

ფოტო ი. მღებრიშვილისა. (ხაქდესის ფოტოქრონიკა).

მღერის „რაშოვდა“

ამბროლაური. (ხაკ. კორ.). ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „რაშოვდამ“, რომელსაც სამი წლის ისტორია აქვს, რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც გაითქვა სახელი.

ლიტვის ქალაქ კაუნასში, თვითმოქმედი კოლექტივების კონკურსზე, სადაც ყველა მოკავშირე რესპუბლიკა მონაწილეობდა, საქართველოს სახელით ამბროლაურის ვოკალური კვარტეტიც წარსდგა და გამარჯვება ხვდა წილად. კვარტეტმა პირველი ხარისხის დიპლომი და ლაურეატობა მოიპოვა.

სურათზე: ინდონეზიის ეურნალისტთა ჯგუფი თბილისში.
ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

სტუმრად ქართველ ეურნალისტებთან

ქართველ ეურნალისტებს ეხტუმრნენ გაზეთ „ბინტანგ ინდონეზიის“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი დაკლანი, გაზეთ „ინდონეზიან ობსერვერის“ მთავარი რედაქტორი სუტომო სატიანი, გაზეთ „ჰარიან კამის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ფერიდ ჩეხაბი, გაზეთ „სინარჰ ჰარაპენის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე სუბექტი, გაზეთ „სულუპ მარჰაენის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ქამალ ჰამზახი, რომლებიც ხხრ კავშირში ჩამოვიდნენ ახალი ამბების საგენტოს მოწვევით.

18 აგვისტოს ინდონეზიის პრესის წარმომადგენლები ეწვივნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილმა ხტუმრებს გააცნო საქალაქო საბჭოს, მისი აღმასკომის საქმიანობა, ესაუბრა ქალაქის მეურნეობაზე, საქართველოს დედაქალაქის განვითარების გეგმებსა და პერსპექტივებზე. ეს ნაამბობი შეავსო დოკუმენტურმა ფილმმა თბილისის წარსულსა და აწმყოზე.

საუბარს დაესწრნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. გოშაძე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ვ. ჩალაძე.

თან წაიღეს საუკეთესო მოგონებებს თქვენს ქალაქზე, ნაწერებს შთაბეჭდილებათა წიგნში ინდონეზიელმა ეურნალისტებმა.

იმავე დღეს ხტუმრები ეწვივნენ ჩაის ხაწონ ფაბრიკასა და ხამგორის მეფეხახლეობის საბჭოთა მეურნეობას. (ხაქდესი).

წიგნის თარო

გულის ხმა

ხათაურით „გულის ხმა“ გამომცემლობებმა „ქაიხატანმა“ და „ხაბჭოთა საქართველომ“ გამოსცეს კრებული, რომელშიც დაბეჭდილია 40-ზე მეტი ქართველი პოეტის ლექსი. „გულის ხმა“ ქართველი მეგობრის ხმაა ხომეხი მკითხველისადმი.

წიგნი იხსნება მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას წინასიტყვაობით, სადაც ლაპარაკია ხომეხ-ქართველთა საუკუნო მეგობრობაზე.

კრებულში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოცემულია ქართველი პოეტების ლექსები. აქ შეხვდებით ბ. წერეთლის, ი. გრიშაშვილის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ხ. ჩიქოვანის და ბევრი თანამედროვე ქართველი პოეტის ნაწარმოებებს. სომეხ მკითხველთა ფართო მასებს მშობლიურ ენაზე პირველად მიეცათ საშუალება გაეცნონ იმ პოეტებს, რომელთაც თავიანთი გულის სიტყვა უთხრეს სომხეთსა და სომხებს. ცნობილია, ქართველი კლასიკოსი აკ. წერეთელი როგორ მეგობრულ ურთიერთობაში იყო დიდ სომეხ დრამატურგ გ. სუნდუკიანცთან, ო. თუმანიანთან და სხვა სომეხ მწერლებსა და ხაზოგადო მოღვაწეებთან.

არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო სანდრო შანშიაშვილის ლექსი „ლეგენდა სევანზე“, იოსებ გრიმაშვილის „თუმანიანი“ და ნ. ნალბანდიანისადმი მიძღვნილი სტრიქონები და თანამედროვე პოეტების ბევრი სხვა ლექსი.

კრებულში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ტიციან ტაბიძეს, რომელსაც განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა თუმანიანთან, შირვან-ზადესთან, ჩარენცთან, მაჰარისა და სომხური კულტურის სხვა მოღვაწეებთან. ჯერ კიდევ 1924 წელს მან ეამოსცა ლექსების ციკლი „სომხეთში“.

კრებულში მოთავსებული ლექსების თარგმანები შესრულებულია გ. სარიანის, ჰ. საჰიანის, ს. ავიანის, ხ. კაპუტიკიანის, ბ. მიქაელიანის, ო. კარაიანის, მ. ქარამანიანის და ე. დავთიანის მიერ. წიგნის რედაქტორია პ. მიქაელიანი. კრებული შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო პოეტმა მ. ქარამანიანმა.

წიგნის „გულის ხმის“ გამოცემა ხაგულისხმო მოვლენაა, იგი კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ხალხების მეგობრობას.

ხ. სიმავორიანი.

მატჩები და შედეგები

ბუენოს აიროსი. (ხაკ. კორ.). ბოსტონის „ბრეივეს“ ... ბ. ... ...